საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის

03011113327661 1

KA030111133276611

ბრძანება No–42

ქ. თბილისი 21 / ნოემბერი / 2011 წ.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ წარმოდგენილ შპს ,,ენერგია''–ს 19 მგვტ სიმძლავრის ,,ლარსი ჰესი''–ს ჰიდროელექტროსადგურის განთავსებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

,,ლიცენზიებისა და ნებართვის შესახებ'' საქართველოს კანონის 24–ე მუხლის მე–4 პუნქტისა და ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ'' საქართველოს კანონის მე–4 მუხლის პირველი პუნქტის ,,მ'' ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს შპს ,,ენერგია''–ზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (№28; 21.11.11.) 19 მგვტ სიმძლავრის ,,ლარსი ჰესი''–ს ჰიდროელექტროსადგურის განთავსებაზე;
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს ,,ენერგია''–მ უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (№28; 21.11.11.) გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,ენერგია''–ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,ენერგია''–ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტორების დეპარტამენტის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი; ყაზბეგის მუნიციპალიტეტის წერილი (№851; 08.11.11) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (№28; 21.11.11).

მინისტრი გ. ხაჩიძე გიორგი ხაჩიძე